ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1721122

ნომერი: AR1282515

თარიღი : 30.01.2015

გაცემის თარიღი : 07.02.2015

გაცნობის თარიღი : 09.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყნეთი , კორპუსი 2ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე სარჯველაძე პ/ნ 01009003377
- თბილისი ო.თაქთაქიშვილის ქ. N 3/43 ბ. 41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნულის განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

ვინაიდან საჩრდილობლის მოწყობით გარკვეულწილად იზღუდება სარეკონსტრუქციო ფართის ზემოთ არსებული ბინის მესაკუთრეების უფლებები, მის საკუთრებაში არსებული ბინის თავისუფალ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით , რაიმე სახის უთანხმოების წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, საჩრდილობლის მოწყობის საკითხი ამ ეტაპზევე შეთანხმებული იქნას თქვენს საკუთრებაში არსებული ფართის ზემოთ არსებული ბინების მესაკუთრეებთან. აღნიშნული თანხმობები კი უნდა ატვირთოთ "დამატებითი ფაილის მიმაგრების" ველში და ამასთანავე უნდა მოგვაწოდოთ მათი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები - ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.